ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №1/120324/2

ქ. თბილისი **12 მარტი, 2024 წელი**

ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ **სსიპ „შემოსავლების სამსახური“** ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მიხეილ ახვლედიანის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“); იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16; ს/კ 204525585; მიმღების დასახელაბა - ხაზინის ერთიანი ანგარიში; ბანკის კოდი - TRESGE22; მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი - 70701

(ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი)

და მეორეს მხრივ **შპს ი.გ. გეორგია** მისი დირექტორის ივანე რიჟამაძის სახით (შემდგომში მიმწოდებელი), იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. VI კვ. კორ. 19; ტელეფონის ნომერი: 558080044; ელ-ფოსტა iggeorgia@yahoo.com ს/კ 405093811, სს ,,საქართველოს ბანკი“ კოდი № BAGAGE22, ა/ა GE87BG0000000913394700.

(ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი)

შემსყიდველმა სსიპ - შემოსავლების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების საფასურიდან მიღებული სახსრებით გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი პრეისკურანტით აუქციონის გარეშე **(NAT240003147) შემოსავლების სამსახურის ბალანსზე არსებული კონდენციონერების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების (CPV50730000 - გამაგრილებელი ჯგუფების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება)** შესყიდვაზე და ტენდერის შედეგად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება ხელშეკრულების დანართი N1-ში მოცემული ერთეულის ფასების ღირებულებების შესაბამისად.

1. ხელშეკრულების ღირებულება

1.1. პრეისკურანტის ღირებულება შეადგენს: **22231.38 (ოცდაორი ათას ორას ოცდათერთმეტი ლარი და ოცდათვრამეტი თეთრი)** ლარს.

1.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **130 000.00 (ას ოცდაათი ათასი ლარი და 00 თეთრი)** ლარს.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

2.2.ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

2.2.1.მომსახურების მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

2.2.2.შესაბამისი შემოწმების აქტის საფუძველზე გაწეული მომსახურების ან/და მისი ნაწილის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა ინსპექტირების აქტის გაფორმება.

2.2.3.სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

2.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ სსიპ „შემოსავლების სამსახურის“-ს უფროსის ბრძანებით განსაზღვრული პირთა ჯგუფის უფლებამოსილი წევრი ან წევრები.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. შესყიდვის ობიექტია სსიპ შემოსავლების სამსახურის ბალანსზე არსებული და ხელშეკრულების დანართი N1 პრეისკურანტში მოცემული დაზიანებული კონდენციონერების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და სათადარიგო ნაწილების მიწოდება. მომსახურებისა და სათადარიგო ნაწილების პრეისკურანტი თან ერთვის ხელშეკრულებას დანართი N1-ის სახით და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3.2. შემოსავლების სამსახურის ბალანსზე რიცხული კონდენციონერების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება (სერვისი-სათადარიგო ნაწილები) გულისხმობს დროულ და სრულყოფილ შეკეთებას: პროფილაქტიკური და დიაგნოსტიკური სამუშაოების ჩატარებას; ტექნიკის ნაწილების შეკეთებას ან/და გამოცვლას.

3.3. გაწეულ მომსახურებაზე ან/და შეცვლილ სათადარიგო ნაწილზე ნორმალური ექსპლუატაციის პირობებში ვრცელდება **საგარანტიო ვადა 6 (ექვსი) თვის ვადით.** იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ მიმწოდებლის მიერ არ არის სრულყოფილად შესრულებული მომსახურება ან/და შეცვლილი ნაწილი აღმოჩნდება წუნდებული, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოჩენილი ხარვეზი აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით, არაუმეტეს 3 (სამი) კალენდარულ დღეში.

3.4. პრეისკურანტში რომელიმე ტექნიკური მომსახურების ან სათადარიგო ნაწილის ერთელის ღირებულების არ არსებობისას, აღიშნული ერთელის ფასი მისი შესყიდვის აუცლებლობიდან გამომდინარე დადგინდება შემსყიდველ ორგანიზაციისა და მიმწოდებლის შეთანხმებით საბაზრო ფასის გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში პრეისკურანტში ერთეულის ღირებულების არარსებობით გამოწვეული შემსყიდველის ხვედრითი წილი არ შეიძლება აღემატებოდეს მიმწოდებლის მიერ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული პრეისკურანტის საბოლოო ჯამური ღირებულების 10%-ს.

4. მომსახურების მიწოდების პირობები

4.1. მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან, **2024 წლის 31 დეკემბრის** ჩათვლით. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს კონდენციონერების შეკეთება (ნაწილების გათვალისწინებით) შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში, მოთხოვნაში მითითებული მისამართის მიხედვით.

4.2. მომსახურების გაწევა განხორციელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, დანართ N2-ში მითითებულ შემოსავლების სამსახურის ტერიტორიულ ერთეულებში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

5.2.იმ შემთხვევაში თუ, გაწეული მომსახურება შეესაბამება ხელშეკრულების დანართი №1-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს გაწეული მომსახურების მიღებას, ხოლო თუ, მომსახურების პროცესში გამოვლინდება, რომ იგი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულების დანართი №1-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებს შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხარვეზის აღმოფხვრა მიმწოდებლის ხარჯით.

5.3.იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 5.2. პუნქტის საფუძველზე არ განხორციელდა მომსახურების მიღება, მიმწოდებელი ვალდებულია 3 (სამი) დღის ვადაში უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა და კონდენციონერების სრულყოფილი შეკეთება, ხოლო აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების 13.1. პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

5.4 მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს მომსახურების მიწოდებისას მიღება-ჩაბარების აქტი და საგადასახადო ანგარიშფაქტურა (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან).

5.5. შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ამოწმებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებათა შესრულების კონტროლის განხორციელების მიზნით მუდმივმოქმედი ინსპექტირების ჯგუფის უფლებამოსილი წევრის/წევრების მიერ ინსპექტირების განხორციელების ფაქტს და შესაბამის ინსპექტირების აქტზე მისი/მათი ხელმოწერის არსებობას. შესაბამისი ფორმით შედგენილი ინსპექტირების აქტზე ხელმოწერების არსებობის შემთხვევაში ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ხელს აწერს მიღება-ჩაბარების აქტს.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად (ლარებში, უნაღდო ანგარიშსწირების ფორმით) ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მიმწოდელის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ან/და მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

6.3.ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების 5.4. პუნქტის შესაბამისად გაფორმებული ინსპექტირების აქტის, მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედდებულებისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1. გაუწიოს „შემსყიდველს“ სრულყოფილი და დროული მომსახურება;

7.1.2. „შემსყიდველს“ გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

7.1.3. უზრუნველყოს ნაკლის გამოსწორება 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში;

7.1.4. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.5.დროულად განიხილოს `შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1 აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი;

7.2.2. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დროული და სრული დაფინანსება;

7.2.3. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2.4. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1.ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.2. განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად არ განხორციელდა შესაბამისი ხარისხის მომსახურების მიწოდება, მიმწოდებელს დაეკისრება პირსაგამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,05%–ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების, ან შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ს, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.3.შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს მიმწოდებლის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,05% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები და ნაკისრი ვალდებულებები იქნება შეუსრულებელი ან არ იქნება ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შესრულებული და აღნიშნული ხელშეკრულების მოქმედების მანძილზე განმეორდება წინამდებარე ხელშეკრულებითა და დანართებით განსაზღვრულ რომელიმე ობიექტზე არაერთგზის, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით და შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. არაერთგზის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობად განიხილება

წინამდებარე ხელშეკრულებითა და დანართით განსაზღვრულ რომელიმე ობიექტზე გამოვლენილი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობის განმეორება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით.

14.1.2.საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს **2025 წლის 31 იანვრის** ჩათვლით, გარდა ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.3 პუნქტით განსაზღვრული ვადისა.

„შემსყიდველი“ სსიპ „შემოსავლების სამსახური”	„მიმწოდებელი“ შპს ი.გ. გეორგია
LEPL REVENUE SERVICE Digitally signed by LEPL REVENUE SERVICE Date: 2024.03.12 17:16:26 +04'00'	Ivane Rizhamadze Digitally signed by Ivane Rizhamadze Date: 2024.03.12 22:38:10 +04'00'
მიხეილ ახვლედიანი ფინანსური დეპარტამენტის უფროსი	**ივანე რიჟამაძე** დირექტორი

პრეისკურანტი/დანართი N1

	სპლიტ კონდიციონერები და ინვენტორული კონდიციონერები		
#	**სათადარიგო ნაწილის/მომსახურების დასახელება**	**განზომილების ერთეული**	**პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული ერთეულის ღირებულება (ლარი)**
	კონდიციონერის შეკეთება მომსახურება		
1	ფრეონის დამატება (რ-22)	ცალი	50.35
2	ფრეონის დამატება (რ-407-410)	ცალი	50.35
3	სისტემის ვაკუმიზაცია	ცალი	63.60
4	სრული დატენვა გაზით	ცალი	92.75
5	შიდა ბლოკის (ფილტრი, რადიატორი, ვენტილატორი) გაწმენდა. დეზინფექცია (ორთქლით წმენდა)	ცალი	66.25
6	შიდა ბლოკის ფილტრების გაწმენდა, დეზინფექცია (ორთქლით წმენდა)	ცალი	47.70
7	გარე ბლოკის გაწმენდა	ცალი	71.55
8	დემონტაჟი შიდა ბლოკის(სიმძლავრე 7000-9000-12000-18000 BTU)	ცალი	90.10
9	დემონტაჟი გარე ბლოკის (სიმძლავრე 7000-9000-12000-18000 BTU)	ცალი	95.40
10	მონტაჟი შიდა ბლოკის (სიმძლავრე 7000-9000-12000-18000 BTU)	ცალი	111.30
11	მონტაჟი გარე ბლოკის (სიმძლავრე 7000-9000-12000-18000 BTU)	ცალი	121.90
12	არასტანდარტული მონტაჟი გარე ბლოკის (სიმძლავრე 7000-9000-12000-18000 BTU)	ცალი	185.50
13	კონდიციონერის სტანდარტული მონტაჟი შიდა და გარე ბლოკის (7000-9000-12000-18000 BTU)	ცალი	222.60
14	კონდიციონერის არასტანდარტული მონტაჟი შიდა და გარე ბლოკის (7000-9000-12000-18000 BTU)	ცალი	307.40
15	კონდიციონერის სტანდარტული მონტაჟი შიდა და გარე ბლოკის (სიმძლავრე 24000 BTU)	ცალი	249.10
16	დემონტაჟი შიდა ბლოკის(სიმძლავრე 24000 BTU)	ცალი	127.20
17	დემონტაჟი გარე ბლოკის სიმძლავრე 24000 BTU)	ცალი	137.80
18	მონტაჟი შიდა ბლოკის (სიმძლავრე 24000 BTU)	ცალი	156.35
19	მონტაჟი გარე ბლოკის (სიმძლავრე 24000 BTU)	ცალი	172.25
20	არასტანდარტული მონტაჟი გარე ბლოკის (სიმძლავრე 24000 BTU)	ცალი	278.25
21	კონდიციონერის სტანდარტული მონტაჟი შიდა და გარე ბლოკის (სიმძლავრე 36000 BTU)	ცალი	291.50
22	კონდიციონერის არასტანდარტული მონტაჟი შიდა და გარე ბლოკის (სიმძლავრე 36000 BTU)	ცალი	344.50
23	დემონტაჟი შიდა ბლოკის(სიმძლავრეს 36000 BTU)	ცალი	172.25
24	დემონტაჟი გარე ბლოკის (სიმძლავრეს 36000 BTU)	ცალი	180.20
25	მონტაჟი შიდა ბლოკის (სიმძლავრეს 36000 BTU)	ცალი	206.70
26	მონტაჟი გარე ბლოკის (სიმძლავრეს 36000 BTU)	ცალი	227.90
27	კონდიციონერის სტანდარტული მონტაჟი შიდა და გარე ბლოკის (სიმძლავრე 48000-60000 BTU)	ცალი	275.60
28	კონდიციონერის არასტანდარტული მონტაჟი შიდა და გარე ბლოკის (სიმძლავრე 48000-60000 BTU)	ცალი	315.35
29	დემონტაჟი შიდა ბლოკის(სიმძლავრეს 48000-60000 BTU)	ცალი	209.35
30	დემონტაჟი გარე ბლოკის (სიმძლავრე 48000-60000 BTU)	ცალი	238.50
31	მონტაჟი შიდა ბლოკის (სიმძლავრე 48000-60000 BTU)	ცალი	238.50
32	მონტაჟი გარე ბლოკის (სიმძლავრე48000-60000 BTU)	ცალი	254.40
33	გამშვები კონდესანტორის შეცვლა	ცალი	42.40
34	შიდა/გარე ბლოკის ვენტილატორის შეცვლა	ცალი	47.70
35	მართვის პლატის შეცვლა	ცალი	50.35
36	ელექტრო კლაპანის მაგნიტური გამშვების, რელეს შეცვლა	ცალი	47.70
37	დრენაჟის სისტემის რემონტი	ცალი	79.50
38	შიდა ბლოკის ძრავის შეკეთება	ცალი	106.00
40	მართვის პლატის მოხსნა, შეკეთება და დაყენება	ცალი	132.50
41	სისტემაში გაჟონვის მოძებნა და ლიკვიდაცია (არ შედის ფრეონი, ეს მხოლოდ აზოტია)	ცალი	87.45
44	მილგაყვანილობის იზოლაცია მხოლოდ ხელობა 1 მეტრზე	მეტრი	58.30
45	ამწეს მომსახურება	1 საათი	196.10
	კონდიციონერის სათადარიგო ნაწილები		
1	ფრეონი (რ-22)	კგ.	42.40
2	ფრეონი (რ-407-410)	კგ.	45.05
3	შიდა ბლოკის ვენტილატორი	ცალი	79.50
4	გარე ბლოკის ვენტილატორი	ცალი	90.10
5	შიდა ბლოკის ვენტილატორის ელექტროძრავა	ცალი	98.05
6	გარე ბლოკის ვენტილატორის ელექტროძრავა	ცალი	100.70
7	თერმოდაჩიკი	ცალი	42.40
8	ელექტროკლაპანის კოჭა	ცალი	50.35
9	გამშვები კონდესატორი	ცალი	53.00
10	პლატის ტრანსფორმატორი	ცალი	45.05
11	მართვის პლატა შიდა აგრეგატის BTU 7000 on/off	ცალი	90.10
12	მართვის პლატა შიდა აგრეგატის BTU 9000 on/off	ცალი	132.50
13	მართვის პლატა შიდა აგრეგატის BTU 12000 on/off	ცალი	137.80
14	მართვის პლატა შიდა აგრეგატის BTU 18000 on/off	ცალი	148.40
15	მართვის პლატა შიდა აგრეგატის BTU 24000 on/off	ცალი	159.00
16	მართვის პლატა შიდა აგრეგატის BTU 36000 on/off	ცალი	185.50
17	მართვის პლატა შიდა აგრეგატის BTU 48000-60000 on/off	ცალი	212.00
18	მართვის პლატა გარე აგრეგატის BTU 24000 on/off	ცალი	132.50
19	მართვის პლატა გარე აგრეგატის BTU 36000 on/off	ცალი	159.00
20	მართვის პლატა გარე აგრეგატის BTU 48000-60000 on/off	ცალი	185.50
21	მართვის პლატა შიდა აგრეგატის BTU 9000 ინვენტორი	ცალი	159.00
22	მართვის პლატა შიდა აგრეგატის BTU 12000 ინვენტორი	ცალი	185.50
23	მართვის პლატა შიდა აგრეგატის BTU 18000 ინვენტორი	ცალი	196.10
24	მართვის პლატა შიდა აგრეგატის BTU 24000 ინვენტორი	ცალი	217.30
25	მართვის პლატა გარე აგრეგატის BTU 9000 ინვენტორი	ცალი	212.00
26	მართვის პლატა გარე აგრეგატის BTU 12000 ინვენტორი	ცალი	238.50
27	მართვის პლატა გარე აგრეგატის BTU 18000 ინვენტორი	ცალი	227.90
28	მართვის პლატა გარე აგრეგატის BTU 24000 ინვენტორი	ცალი	246.45
29	ელექტროკლაპანი	ცალი	47.70
30	პულტი	ცალი	58.30
31	სპილენძის მილები კომპლექტი (წყვილი) 6/10-იანი (1/4-3/8 მმ)	მეტრი	31.80
32	სპილენძის მილები კომპლექტი (წყვილი) 6/12-იანი (1/4-1/2მმ)	მეტრი	39.75

33	სპილენძის მილები კომპლექტი (წყვილი) 16/10-იანი (5/8-3/8მმ)	მეტრი	45.05
34	სპილენძის მილები კომპლექტი (წყვილი) 19/10-იანი (3/4-3/8მმ)	მეტრი	53.00
35	სპილენძის მილი სწორი იზოლაციის გარეშე 22	მეტრი	68.90
36	მილების იზოლაცია	მეტრი	23.85
37	დრენაჟის მილები 16-მმ	მეტრი	18.55
38	დრენაჟის მილები 20-მმ	მეტრი	23.85
39	გარე ბლოკის კრონშტეინები	კომპლექტი	37.10
40	ჟგუტი	კომპლექტი	6.36
41	სადენი 5*1.5	მეტრი	10.60
42	სადენი 5*2,5	მეტრი	14.84
43	სადენი 3*2.5	მეტრი	7.95
44	იზოლენტა	ცალი	6.89
45	სილიკონი	ცალი	18.55
46	გარე ბლოკის ჩიბუხი	ცალი	10.60
47	დრენაჟის მილის სამაგრი	ცალი	5.30
48	საკაბელო არხი 60X80	მეტრი	10.60
49	საკაბელო არხი 60X60	მეტრი	9.54
	კომპრესორი		
1	კომპრესორი 9000 BTU(r-22)	ცალი	238.50
2	კომპრესორი 9000 BTU(r-410)	ცალი	280.90
3	კომპრესორი 12000 BTU(r-22)	ცალი	328.60
4	კომპრესორი 12000 BTU(r-410)	ცალი	360.40
5	კომპრესორი 18000 BTU(r-22)	ცალი	397.50
6	კომპრესორი 18000 BTU(r-410)	ცალი	450.50
7	კომპრესორი 24000 BTU(r-22)	ცალი	503.50
8	კომპრესორი 24000 BTU(r-410)	ცალი	530.00
9	კომპრესორი 36000 BTU(r-22)	ცალი	556.50
10	კომპრესორი 36000 BTU(r-410)	ცალი	583.00
11	კომპრესორი 48000 BTU(r-22)	ცალი	609.50
12	კომპრესორი 48000 BTU(r-410)	ცალი	662.50
13	კომპრესორი 60000 BTU(r-22)	ცალი	689.00
14	კომპრესორი 60000 BTU(r-410)	ცალი	742.00
	კომპრესორის შეცვლის მომსახურება		
1	კომპრესორი 9000 BTU(r-22)	ცალი	132.50
2	კომპრესორი 9000 BTU(r-410)	ცალი	132.50
3	კომპრესორი 12000 BTU(r-22)	ცალი	132.50
4	კომპრესორი 12000 BTU(r-410)	ცალი	132.50
5	კომპრესორი 18000 BTU(r-22)	ცალი	159.00
6	კომპრესორი 18000 BTU(r-410)	ცალი	159.00
7	კომპრესორი 24000 BTU(r-22)	ცალი	159.00
8	კომპრესორი 24000 BTU(r-410)	ცალი	159.00
9	კომპრესორი 36000 BTU(r-22)	ცალი	174.90
10	კომპრესორი 36000 BTU(r-410)	ცალი	174.90
11	კომპრესორი 48000 BTU(r-22)	ცალი	185.50
12	კომპრესორი 48000 BTU(r-410)	ცალი	185.50
13	კომპრესორი 60000 BTU(r-22)	ცალი	185.50
14	კომპრესორი 60000 BTU(r-410)	ცალი	185.50
1	**თბური ფარდა** კილოვატი 7 კილოვატიანი და 14 კილოვატიანი	ცალი	2120.00
			22231.38

დანართი N2

მომსახურების გაწევის ადგილი

მომსახურების დეპარტამენტის სერვის ცენტრები

თბილისი

1. ისანი–სამგორის, ძველი თბილისის და დიდგორის სერვის ცენტრი - გულუას ქუჩა N4
2. ვაკე–საბურთალოს სერვის ცენტრი - კოსტავას გამზირი N68ა
3. დიდუბე–ჩუღურეთის სერვის ცენტრი - აღმაშენებლის გამზირი N140ა
4. გლდანი–ნაძალადევის სერვის ცენტრი - სარაჯიშვილის ქ. N1
5. საბაჟო დეპარტამენტის შენობა აბზიანიძის 4
6. კინოლოგია აბზიანიძის 4
7. დავები გულუას 4
8. აუდიტი გულუას 4
9. მონიტორიზგის დეპარტამენტი ქ.თბილისი ალექსიძის 1
10. ცენტრალური საწყობი აბზიანიძის 4

რუსთავის სერვის ცენტრი - ქ. რუსთავი, კოსტავას გამზ. N36
მარნეულის სერვის ცენტრი - ქ. მარნეული, რუსთაველის 73
თელავის სერვის ცენტრი - ქ. თელავი, აღმაშენებლის გამზირი N41
ახალციხის სერვის ცენტრი - ქ. ახალციხე, პ. ნათენაძის ქ. N54
გორის სერვის ცენტრი - ქ. გორი, სამეფოს ქ. N50
მცხეთის სერვის ცენტრი - ქ. მცხეთა, მუხრანის ქ. N17›
ბათუმის სერვის ცენტრი - ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. N5ა
ქუთაისის სერვის ცენტრი - ქ. ქუთაისი, ჯავახიშვილი ქ. N5
ზესტაფონის სერვის ცენტრი - ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. N5
ფოთის სერვის ცენტრი - ქ. ფოთი, დ. თავდადებულის ქ. N4
ოზურგეთის სერვის ცენტრი - ქ. ოზურგეთი, ი. შემოქმედელის N3
ზუგდიდის სერვის ცენტრი - ქ. ზუგდიდი, გამარჯვების ქ. N1
წალკა - არისტოტელეს ქ. N22
ბოლნისი - სულხან საბას ქ. N106
ბორჯომი - მესხეთის N5
ახალქალაქი - თავისუფლების N93
ხაშური - კოსტავას ქ. N7
თიანეთი - რუსთაველის ქ. N67
ყაზბეგი - აღმაშენებლის N9, მე-2 სართული.
ქობულეთი - რუსთაველის N136
ამბროლაური - კოსტავას ქ. N20
სამტრედია - რუსთაველის N28
ჭიათურა - ნინოშვილის ქ. N5
სენაკი - რუსთაველის ქუჩა N235
მესტია - ილიკო გაბლიანის ქ N1
წნორი - აღმაშენებლის ქ. N19ა
ლაგოდეხი - ქიზიყის ქ N25
საგარეჯო - ჯაფარიძის ქ. N2ა
დედოფლისწყარო - ჰერეთის ქ. N82

გაფორმების ეკონომიკური ზონები

გაფორმების ეკონომიკური ზონა „თბილისი“ - გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მარტყოფი, თბილისის შემოსავლელი გზის 36-ე კმ.
გაფორმების ეკონომიკური ზონა „ბათუმი“ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ადლია, სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის 106-ე კმ.
გაფორმების ეკონომიკური ზონა „ფოთი“ - ქ. ფოთი, ივანე ჯავახიშვილის ქუჩა №32;
გაფორმების ეკონომიკური ზონა „აეროპორტი“ - ქ. თბილისი, აეროპორტის მიმდებარე ტერიტორია
გაფორმების ეკონომიკური ზონა „თბილისი 2“ - გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მარტყოფი, თბილისის შემოსავლელი გზის 36-ე
რუსთავის განყოფილება - ქ. რუსთავი, კოსტავას ქ. №36;
თელავის განყოფილება - ქ. თელავი, ერეკლე II-ის გამზ. №1
ახალციხის განყოფილება - ქ. ახალციხე, პ. ნათენაძის ქ. №54
ქუთაისის განყოფილება - ქ. ქუთაისი, ივ. ჯავახიშვილის ქ. №5
სარკინიგზო ტრანსპორტით გადაადგილებული საქონლის გაფორმების განყოფილება: ქ. თბილისი, გულუას №4.

საბაჟო გამშვები პუნქტები

საბაჟო გამშვები პუნქტი "სადახლო" (საავტომობილო) - მარნეულის რაიონი სოფელი სადახლო
საბაჟო გამშვები პუნქტი "სადახლო" (სარკინიგზო) - მარნეულის რაიონი სოფელი სადახლო
საბაჟო გამშვები პუნქტი "გარდაბანი და მტკვარი" (სარკინიგზო) - გარდაბნის რაიონი, სოფელი ვახტანგისი
საბაჟო გამშვები პუნქტი "გარდაბანი და მტკვარი" (საავტომობილო) - გარდაბნის რაიონი, სოფელი ვახტანგისი
საბაჟო გამშვები პუნქტი "ახკერპი" - მარნეულის რაიონი, სოფელი ახკერპი
საბაჟო გამშვები პუნქტი "გუგუთი" - დმანისის რაიონი, სოფელი გუგუთი
საბაჟო გამშვები პუნქტი "მტკვარი" - გარდაბნის რაიონი, სოფელი ვახტანგისი
საბაჟო გამშვები პუნქტი "ლაგოდეხი" - ლაგოდეხის რაიონი, სოფელი მაწიმი
საბაჟო გამშვები პუნქტი "სამთაწყარო" - დედოფლისწყაროს რაიონი, სოფელი სამთაწყარო
საბაჟო გამშვები პუნქტი "ყაზბეგი" - ყაზბეგის რაიონი, დარიალის ხეობა
საბაჟო გამშვები პუნქტი "ვალე" - ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორია
საბაჟო გამშვები პუნქტი "წინოწმინდა" - ქალაქი ნინოწმინდა, სოფელი ჟდანოვი
საბაჟო გამშვები პუნქტი "წითელი ხიდი" - მარნეული რაიონი, სოფელი ქერაჩ-მუღანლო
საბაჟო გამშვები პუნქტი "თბილისის აეროპორტი" - კახეთის გზატკეცილი, თბილისის საერთაშორისო აეროპორტი
საბაჟო გამშვები პუნქტი "სარფი" - ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი სარფი
საბაჟო გამშვები პუნქტი "ბათუმის აეროპორტი" - ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი 220
საბაჟო გამშვები პუნქტი "ბათუმის პორტი" - ბათუმი, გოგებაშვილის 11
საბაჟო გამშვები პუნქტი "ქუთაისისა და სენაკის აეროპორტები და ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა" - ქუთაისი, ავტომშენებლის 88, ჯავახიშვილის 5
საბაჟო გამშვები პუნქტი "ფოთისა და ყულევის პორტები და ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა" -ფოთი, აღმაშენებლის 54
საბაჟო გამშვები პუნქტი „კარწახი“ - ახალქალაქის რაიონი, სოფელი კარწახი